

## ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება

დიდი ზიანი მიაყენა ქრისტიანობას არიოზულმა მიმდინარეობამ, რომელიც ამ პერიოდში წარმოიშვა და რომელმაც სახელწოდება მისი მამამთავრის – არიოზისგან მიიღო. არიოზი ალექსანდრიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტაძრის მოძღვარი იყო. ჭკვიანმა და განსწავლულმა, თავშეკავებული ცხოვრებით ალექსანდრიელ ქრისტიანთა შორის სახელი მოიპოვა და იმედიც ჰქონდა, რომ ეპისკოპოსად აირჩევდნენ, მაგრამ არ გაუმართლდა: ალექსანდრიის ეპისკოპოსი არა იგი, არამედ ალექსანდრე გახდა. თუმცა გარეგნულად წყენა არ შეიმჩნია, მაგრამ, შესაძლოა, სწორედ ეს წყენა შეიქნა მიზეზი იმისა, რომ არიოზი არამხოლოდ ახალ ეპისკოპოსს, არამედ საერთოდ ეკლესიას და მის სწავლებას დაუპირისპირდა. მისი მტკიცებით, რამდენადაც იყო დრო, როცა ქრისტე არ იყო, ამდენად იგი არც დაუსაბამო და მარადიულია და ღმერთი არა არსით, არამედ სახელითაა, ანუ სინამდვილეში მამა ღმერთის ქმნილებას წარმოადგენს.

როცა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თავისი მღვდლის გადარწმუნება ვერ შეძლო და მცდარ თვალსაზრისზე ხელი ვერ ააღებინა, იძულებული გახდა კრება მოეწვია, რომელმაც არიოზის ცრუ სწავლება ერთსულოვნად დაგმო და იგი მღვდელმსახურებისაგან განაყენა. არიოზი კრების გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და თავი უკანონობის მსხვერპლად გამოაცხადა. მან მრავალ ეპისკოპოსს მისწერა წერილი, რომელშიც თავს დევნილად და შევიწროვებულად წარმოადგენდა და მათგან მხარდაჭერა მოითხოვა. თავის მხრივ მღვდელმთავრებს წერილები ალექსანდრემაც გაუგზავნა და ისინი სადაო საკითხის განხილვაში მონაწილეობისათვის მიიწვია. ალექსანდრიაში ასზე მეტი ეპისკოპოსი ჩავიდა და კრებამ არიოზის ერეტიკული სწავლება მეორედ დაგმო. მაშინ არიოზმა ალექსანდრია დატოვა და თავისი ცრუ მოძღვრების გავრცელება პალესტინაში, ეგვიპტესა და ლიბიაში დაიწყო. მსმენელთაგან ზოგიერთი მას შეცდომაში თავისი სწავლების ბუნდოვანებით შეჰყავდა, ზოგსაც მჭევრმეტყველების ძალით იზიდავდა. მხედველობიდან არც ადამიანთა მუსიკისა და პოეზიისადმი თანდაყოლილი სიყვარული გამორჩენია და თავის მწვალებლურ შეხედულებებს სიმღერების სახე მისცა, რითაც მათი სწრაფი და დაუბრკოლებელი გავრცელებისათვის საუკეთესო გზა გამონახა. ისტორიკოსი ფილოსტორგიოსის ცნობით, არიოზს ეკუთვნოდა მეზღვაურთა სიმღერები, მეწისქვილის სიმღერები, მგზავრის სიმღერები. 322 წელს ერთად შეკრებილი ეს სიმღერები, საერთო სახელწოდებით „ნადიმი“, ნიკომედიაში გამოიცა. მისგან მხოლოდ რამდენიმე ტაეპია შემორჩენილი, რომელიც, მათი ავტორის მხილების მიზნით ათანასე ალექსანდრიელს მოჰყავს. მაგალითისთვის მოვიტანთ ერთ-ერთ ფრაგმენტს, რომელიც ერეტიკოსის ქედმაღლური აზროვნების ჭეშმარიტ ნიმუშად გვესახება: „ღმრთის რჩეულთა რწმენის, ღმრთის წმინდა, გონიერ, მართლმორწმუნე შვილთა რწმენისა და ღმერთის წმინდა სულის მიძღებთა რწმენის მიხედვით, მე ეს ვისწავლე იმათგან, ვინც სიბრძნეს ზიარებულა, ვინც ღმრთივგანსწავლული და განათლებულია, ვინც ყველაფერში ბრძენია. მათ კვალზე მავალი და მათივე თანამოაზრე, მოვედი მე, სახელგანთქმული, მრავალი ტანჯვის დამთმენი ღმრთის რწმენისათვის, ღმრთისგან ვისწავლე სიბრძნე და ცოდნა შევიმეცნე“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა, ბიზანტ. ლიტ. ისტორია, თბილისი, 1973, გვ. 51.

როგორც ამ ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს, არიოზის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო იმანაც რომ მეტისმეტად კარგად ეხერხებოდა ხალხის წინაშე თავის წარმოდგენა იმგვარ დევნილად, რომელიც რწმენისათვის მრავალ ტანჯვასა და შეურაცხყოფას იტანდა. ასე რომ, ექვსი წლის განმავლობაში „მოღვაწეობით“ მთელი აღმოსავლეთი ააღელვა. კამათში არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო პირებიც ჩაებნენ და ხალხი ორად გაიყო. განსაკუთრებით ბევრი და გულმხურვალე მომხრე არიოზს ქალთა შორის აღმოაჩნდა. განდევილთა მყუდრო სავანეებსა თუ ხალხმრავალ მოედნებზე ქრისტეს ღმრთეებრიობასა და მარადიულობაზე გაცხარებული კამათი მიმდინარეობდა. ქრისტიანთა შორის წარმომოხილი კამათით წარმართები ხარობდნენ და ამკარად დასცინოდნენ მათ. აღმოსავლეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ეპისკოპოსმა ევსევი ნიკომედიელმა არიოზი თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო და მცირე საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც იგი ეკლესიაში დააბრუნა.

ეკლესიაში სიმშვიდის აღსადგენად ერთადერთი გზაა რჩებოდა. მსოფლიო ეკლესიას აუცილებლად უნდა ჩამოეყალიბებინა თავისი სწავლება იესო ქრისტეზე, რომელიც მოციქულებისგან გადმოეცა და ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა, ეთანხმებოდა თუ არა მას ახალი სწავლება, რომელიც ცხარე კამათის საგნად იყო ქცეული.

რადგანაც კონსტანტინე დიდის ეპისკოპოსი ალექსანდრესა და არიოზისათვის მიწერილ წერილებს, რომლებშიც იგი მათგან კამათის მეგობრულად დამთავრებასა და შერიგებას მოითხოვდა, ბუნებრივია, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, იმპერატორმა მხარი მსოფლიო კრების მოწვევის იდეას დაუჭირა და მთელს ქრისტიანულ სამყაროში დაგზავნა წერილები, რომლითაც ეპისკოპოსებს კრებაში მონაწილეობის მისაღებად ნიკეაში იწვევდა.

ეპისკოპოსთა მგზავრობისა და ნიკეაში ცხოვრების ხარჯები იმპერატორმა გაიღო, გზებზე მათ ეტლებს შემცვლელ ცხენებს ახვედრებდნენ. ნიკეაში მოვიდნენ ეპისკოპოსები ეგვიპტიდან, პალესტინიდან, სირიიდან, მესოპოტამიიდან, აფრიკიდან, მცირე აზიის ოლქებიდან, საბერძნეთიდან, საქართველოდან, სპარსეთიდან, სომხეთიდან, მიზიიდან, დაკიიდან და ღუნაის გაღმა მდებარე გუთების ქვეყნებიდან, რომელნიც ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულნი იყვნენ; სულ სამასზე მეტი მღვდელმთავარი შეიკრიბა. აღსანიშნავია, რომ ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაში ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილეს მონაწილეობდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იყო იგი ეროვნებით – ბერძენი თუ ქართველი. ქართული ეკლესიისა და საერთოდ, ჩვენი ხალხის ისტორიისათვის მთავარი ისაა, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ბიჭვინთაში, 325 წლისათვის საეპისკოპოსო კათედრა არსებულა, რაც ჩვენს ქვეყანაში ამ დროისათვის ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებასა და მის მაღალორგანიზებულობაზე მიუთითებს. ეპისკოპოსებს სხვა სასულიერო პირებიც – ხუცესებიცა და დიაკვნებიც ახლდნენ. შედარებით ნაკლები იყო რიცხვი დასავლელი მღვდელმთავრებისა. რომის ეპისკოპოსმა სილვესტერმა, სიბერით გამოწვეული უძლურების გამო, ჩამოსვლა ვერ შეძლო და ნიკეაში თავისი ორი წარმომადგენელი წარმოგზავნა, რომელთაგან ერთი – ოსიოს კორდუბელი ესპანეთის ეკლესიას წარმოადგენდა და მეფის დიდი ნდობით სარგებლობდა. კრების სხვა მონაწილე ეპისკოპოსებიდან უწინარესად უნდა დავასახელოთ ალექსანდრე ალექსანდრიელი, ვინც პირველმა ამხილა არიოზის მოძღვრება,

ნიკოლოზ მირონლუკიელი, სპირიდონ ტრიმიფუნტელი, იაკობ ნასიბინელი, ევსტათი ანტიოქიელი, პაფნუტი თეზაიდელი და სხვ. კრებაზე თავი გამოიჩინეს ეპისკოპოსი ალექსანდრეს ახალგაზრდა დიაკვანმა ათანასემ და იაკობ ნასიბინელის მოწაფემ ეფრემმა. შემდეგში მათ დიდი ღვაწლი დასდეს ქრისტეს ეკლესიას და მის ისტორიაში ათანასე დიდისა და ეფრემ ასურის სახელებით შევიდნენ.<sup>2</sup>

პირველი მსოფლიო კრება 325 წლის 19 ივლისს გაიხსნა მეფის სასახლის ერთ-ერთ დიდ დარბაზში. პირველი სიტყვა ევსტათი ანტიოქიელმა წარმოთქვა, მეორე – ისტორიკოსმა ევსევიმ, პალესტინის კესარიის მღვდელმთავარმა. ამის შემდეგ კრებულს სიტყვით იმპერატორმა მიმართა, რომელიც ლათინურ ენაზე წარმოთქვა. კრების მონაწილეებს მას ბერძნულ ენაზე თარჯიმანი უთარგმნიდა. კონსტანტინემ სიხარული გამოხატა იმის გამო, ეპისკოპოსთა ასეთ დიდებულ კრებულს ხედავდა და მას სადაო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრა სთხოვა. არიოზის სწავლების განხილვისას, მისი მხარე 17-მდე ეპისკოპოსმა დაიჭირა, რომელთაც ევსევი ნიკომედიელი და ისტორიკოსი ევსევი კესარიელი მეთაურობდნენ.

როგორც „საეკლესიო ისტორიის“ ძველი ავტორები – რუფინუსი. სოზომენე და თეოდორიტი მოგვითხრობენ, კრების მონაწილენი ძირითადად ორ ნაწილად იყოფოდნენ: მართლმადიდებლებად და არიოზის მიმდევრებად. პირველ ნაწილს ეკუთვნოდნენ ისინი, რომელთაც თავიანთი აღმსარებლობა დევნის მკაცრ პერიოდში შეინარჩუნეს; მათ ყოველგვარი კრიტიკული გამოძიების გარეშე, წრფელად სწამდათ იმისა, რასაც ეკლესია თავიდანვე ასწავლიდა. ამიტომ მეორე ნაწილის წარმომადგენლები „მარტივებსა და უცოდინარებს“ (იუდიფიკა- კაი; მკ ეჯვცეინ გნწ□სინ) უწოდებდნენ. როგორც ისტორიკოსი სოზომენე გადმოგვცემს, ისინი ამბობდნენ: „ჩვენ გულწრფელად გვწამს და არ ვეწევით ამო ჯაფას იმის დასასაბუთებლად, რაც მხოლოდ რწმენით მიიღწევა, რადგან ჰიპოსტასი ღმრთის ძისა ყველა შექმნილი ბუნებისათვის ისეთივე მიუწვდომელია, როგორც თავად მამაა მიუწვდომელი“: **არავინ იცის ძმ, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან** (მთ. 11,27). მართლმადიდებლები გონებას რწმენას უქვემდებარებდნენ და ერთგულნი იყვნენ იმ დოგმატისა, რომელიც სახარებაშივეა მოცემული და რომლის მიხედვითაც, ძე ისეთივე სრული ღმერთია, როგორც მამა. **მე და მამაჲ ერთ ვართ** (ინ. 10,30). – ეუბნება იესო ებრაელებს, რომელთაც მისგან მოითხოვეს, ბოლოსდაბოლოს, განცხადებულად ეთქვა, იყო თუ არა იგი ქრისტე (ცხებული).

მათგან განსხვავებით, არიოზის მიმდევრებს რწმენის ცოდნისათვის დამორჩილება სურდათ, რისთვისაც სარწმუნოებრივ საკითხებს კრიტიკულად და ანალიტიკურად უდგებოდნენ. სოზომენეს გადმოცემით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ რწმენის სფეროში ძველი შეხედულებების მიღება შეუძლებელია არ შეიძლებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ეკლესიის მამათა სწავლებებსა და საეკლესიო გადმოცემებს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, საკუთარი სიბრძნის იმედი ჰქონდათ, დიალექტიკის განსაკუთრებული ძალისა სჯეროდათ და უპირისპირდებოდნენ მათ, რომელნიც დიალექტიკას რელიგიურ სიწრფელეს ამჯობინებდნენ. არიოზელები თავიანთ თავს „რწმენის გამომკვლევებსა და გამომეძიებლებს“ დაუფარავად უწოდებდნენ. წმინდა გრიგოლ

---

<sup>2</sup> А. Лебедев, История вселенских соборов, часть I, Сергиев Посад, М., 1896, гл. 1-32. Vita Constantini, III, 10.

ღმრთისმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ „რწმენა დათმეს“, დაივიწყეს რა ბრძნული კანონი, რომ „ჩვენი გონების შემავსებელი სარწმუნოებაა“.

არიოზის მიმდევრები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: მკაცრ არიოზელებად და ზომიერებად, რომელნიც შემდეგ ნახევრად არიოზელების სახელით გახდნენ ცნობილი. მეორე ჯგუფს, რომელიც უფრო მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, ცნობილი „ეკლესიის ისტორიის“ ავტორი ევსევი კესარიელი მეთაურობდა, პირველს ევსევი ნიკომედიელი. ნახევრად არიოზელები თავიანთ მედროშედ ორიგენეს მიიჩნევდნენ, მკაცრი არიოზელები – ლუკიანე ანტიოქიელს.<sup>3</sup>

თუმცა კრების მსვლელობის ზუსტი დეტალები ჩვენთვის უცნობია, იმის თქმა ნამდვილად შეუძლებელია, რომ, უწინარეს ყოვლისა, მხილებულ და უარყოფილ იქნა ე. წ. მკაცრ არიოზელთა და მათი მეთაურის, ევსევი ნიკომედიელის შემოთავაზებული სწავლებანი: „ძე ღმრთისა ქმნილებათა“, „იყო დრო, როცა არ იყო“, „ძე არსით ცვალებადია“, რადგან მათ წმინდა წერილში არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ამის შემდეგ რწმენის სიმბოლო ევსევი კესარიელმა წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, მართალია, ძე ღმერთი იყო, მაგრამ მამა ღმერთთან მიმართებაში დაქვემდებარებული, რაც წმ. სამებაში სუბორდინაციის შეტანას გულისხმობდა, ეს კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ისევ პოლითეიზმზე დაბრუნება (თუ ძე ღმერთია, მაგრამ არსით მამისაგან განსხვავებული და მასზე დაქვემდებარებული, მაშინ ღმერთი არა ერთი, არამედ ორი ყოფილა). ევსევი კესარიელი იმედოვნებდა, რომ სპეციალურად შერჩეული ბუნდოვანი და ორაზროვანი გამოთქმებით სიმბოლოს ნამდვილ აზრს შენიღბავდა და კრების მონაწილეთა შეცდომაში შეყვანას შეძლებდა, მაგრამ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა შეგონებით, იმპერატორმა კონსტანტინემ ევსევის მამასთან ძის დამოკიდებულების ზუსტი განსაზღვრისათვის სიმბოლოში მხოლოდ ერთი სიტყვის – ჰომოუსიოს (ოჟმოოუსიო~ – ერთარსი) შეტანა მოსთხოვა.

საბოლოოდ კრებამ ეკლესიის სწავლების არსი მამა ღმერთსა და ძე ღმერთზე – იესო ქრისტეზე წერილობით ჩამოაყალიბა და მიიღო რწმენის სიმბოლო, რომელშიც აღიარებულია, რომ ძე მამის ერთარსია. სიმბოლოს ხელი ყველამ, მათ შორის არიოზელებმაც მოაწერეს, რომელთაგან ორი უზნეო საქციელის ჩადენას არ მოერიდა და სიტყვაში ჰომოუსიოს (ოჟმოოუსიო~ – ერთარსი) იოტა ჩაამატა, რამაც ტერმინის შინაარსი მთლიანად შეცვალა, რადგან ჰომოიუსიოს (ოჟმოიოუსიო~) უკვე არა ერთარსს, არამედ არსით მსგავსს ნიშნავს. სიცრუე მაშინვე გამოძვლავნდა და ეპისკოპოსები ყალბის მქმნელობაში ამხილეს. რაც შეეხება არიოზს, რადგან მან თავისი სწავლების უარყოფაზე უარი თქვა, რამდენიმე მომხრესთან ერთად ეკლესიიდან განდევნეს.

პირველი მსოფლიო კრების უმნიშვნელოვანესი მიღწევა ყოვლადწმინდა სამების დოგმატის ჩამოყალიბება და სარწმუნოების სიმბოლოს შედგენა იყო, რომელიც ნიკეის სიმბოლოს სახელითაა ცნობილი. ისტორიკოსი სოკრატე წერს: „სარწმუნოების სიმბოლოს განსაზღვრება ადვილად და შემთხვევით როდი მოხდა, არამედ იგი ხანგრძლივი გამოკვლევისა და გამოძიების შემდეგ გამოცხადდა და თანაც არა ისე, რომ ერთი რამ ყოფილიყო ნაჩვენები და მეორე – არა, არამედ მხედველობაში იქნა მიღებული ყოველივე, რაც კი დოგმატის მტკიცებასთან მიმართებაში არსებობს; ასე რომ, რწმენა უბრალოდ კი არაა განსაზღვრული,

<sup>3</sup> Socrates. Historia ecclesiastica. Lib., IV, 26.

არამედ წინასწარ ისე გულმოდგინედაა განხილული, რომ უკუგდებულია ყოველგვარი შეხედულება, რომელიც შეიძლება ორაზროვნების, ან აზრთა გაყოფის საბაზი გამხდარიყო. თანხმობა ეპისკოპოსთა შორის ღმრთის სულმა დაადგინა“.<sup>4</sup>

მართალია, ნიკეის კრების სიმბოლოს ორი ეგვიპტელი ეპისკოპოსის გარდა, ხელი ყველამ მოაწერა, მაგრამ, როგორც შემდეგში გაირკვა, ბევრი არიოზელი ეპისკოპოსი ორპირი გამოდგა. ხელის მოწერა მათ არაფერს ავალდებულებდა, რადგან, მიწიერი მიზნებით გატაცებულებს, სინდისი მაინცდამაინც არ აწუხებდათ და ხელიც იმიტომ მოაწერეს, რომ საეპისკოპოსო კათედრები შეენარჩუნებინათ. ამის დამადასტურებელია ის, რომ მათი კრებისშემდგომი საქმიანობის არსს ძირითადად ნიკეის სიმბოლოს სოფისტური კრიტიკა და მისი საპირისპირო, რწმენის ახალი სიმბოლოების შექმნა წარმოადგენდა.

როგორც ვნახეთ, ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იმპერატორი კონსტანტინე იყო. რადგანაც კრებამ ორთოდოქსული რწმენა იმპერატორის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დაამტკიცა, ამიტომ რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად 325 წელი ითვლება.

---

<sup>4</sup> Socrat. Lib. I, 9, Col. 85-88.